სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №67

ქ.ქუთაისი 24 თებერვალი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის შოთა მურღულიას სახით, (უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №01-636, 12.02.2014; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ქ.ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“, მისი დირექტორის ბეჟან მამაგეიშვილი სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. №46/ბ; ტელ: 22 15 89) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქ. ქუთაისის საკრებულოს 25.12.2013 წლის №233 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის მომსახურება.

1.2. კლასიფიკატორის კოდი – **85100000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 1809(ათასრვაასცხრა) ლარს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 20 დეკემბრამდე.

3.2„მიმწოდებელი“ მომსახურებას გაუწევს თავისი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით რეგისტრირებული საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ყველაზე გავრცელებული პათოლოგიების - თიაქარის, სქოლიოზისა და კრიპტორხიზმის დროულად გამოსავლენად, მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით (დაახლოებით 895 ბავშვი).

3.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თვითთმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 20 დეკემბრამდე.

5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე.

6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება,

ბ) გაწეულ მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

6.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია 2015 წლის 20 იანვრამდე.
14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მერია

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა # 33033303
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

შოთა მურღულია

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ქ.ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა"
მის: ქუთაისი, ნიკეას ქ. №46/ბ
ს.ს. ,,ვითიბი ბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101601
ა/ა GE04VT0500000001413602
ს/კ 212670796
შ.პ.ს.„ქ.ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა"
დირექტორი

ბეჟან მამაგეიშვილი

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-636
10 02 2014 წ.

ქ.ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თამაზ მარგველაშვილს

ბატონო თამაზ,

მოგახსენებთ, რომ ქ.ქუთაისის საკრებულოს №233 25.12.2013წ. დადგენილებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამით, გათვალისწინებულია ქ.ქუთაისში არსებული ბავშვთა პოლიკლინიკების ჩართულობა. თითოეული სამედიცინო დაწესებულება თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედით რეგისტრირებულ საჯარო და კერძო სკოლებში, მოახდენს დაწყებითი კლასის მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, სულ ასეთი ქალაქში არის 4512 ბავშვი.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას რათა გამარტივებული შესყიდვების გზით(როგორც ექსკლუზიური უფლებამოსილება) გავაფორმოთ ხელშეკრულება შემდეგ პოლიკლინიკებთან.

#69 1 შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი- 3325 ლარი, ბავშვთა რაოდენობა - 1653

01-636
12 02 2014

მის: ქ.ქუთაისი ტ.ტაბიძის ქ. №23
საიდენტიფიკაციო ნომერი: 212913276
ანგარიშის № GE87TB7086236020100009

2181
10 02 2014

თბილისი-ქუთაისი-ბორჯომი
მერის სახელმწიფო მინისტრის
მაბერიელურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
№ 142
20 02 2014 წ.

3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62
www.Kutaisi.gov.ge interrelations@Kutaisi.gov.ge

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამ'ზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (431) 24-69-62

66-67-68-69

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ტელ/ ფაქსი (+995 331) 45694

დირექტორი: გიორგი მიმინოშვილი

№68 2. შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა-2767 ლარი, ბავშვთა რაოდენობა-1374

ს/Თ 212691336

GE84PC0013600100037406

PROCREDIT BANKI

მის: ჯავახიშვილის ქ. №85

ტელ: +995 431 258 274

დირექტორი: კახაბერ ჭონიშვილი

№67 3.შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №4 შერეული პოლიკლონიკა-1809 ლარი, ბავშვთა რაოდენობა-895

საიდენტიფიკაციო ნომერი 212670 796

Vi ti bi banki jorjia

ანგარიშის ნომერი Geo4Vto5000000001413602

მის: ქ.ქუთაისი ნიკეას ქ.№46/ბ

ტელ: 0431 22 15 89

დირექტორი: ბეჯან მამაგეიშვილი

№66 4. .შ.პ.ს. „გგ" სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი-1199 ლარი, ბავშვთა რაოდენობა-590

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412684607

ბანკი რესპუბლიკა REPLGE22 a/a

ანგარიშის ნომერი: GE63BR0000010954992366

დირექტორი: გელა გოქაძე

ქ.ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი
შოთა მურღულია

85100000

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ქ. ქუთაისი. დუმბაძის ქ. №61
№ --20--
☎ 24 00 76

"31" "01" 2014 წელი

ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ შოთა მურღულიას

ბატონო შოთა,

მოგახსენებთ, რომ ქ.ქუთაისის საკრებულოს №233 25.12.2013წ. დადგენილებით დამტკიცდა ჩვენი სამსახურის ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა, რომლის მიზანს წარმოადგენს ქ.ქუთაისის დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა , აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე გავრცელებული პათოლოგიების -თიაქარი, სქოლიოზისა და კრიპტორხიზმის დროულად გამოსავლენად, ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებულია, ქ.ქუთაისში არსებული ბავშვთა პოლიკლინიკების ჩართულობა. თითოეული სამედიცინო დაწესებულება თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედით რეგისტრირებულ საჯარო და კერძო სკოლებში, მოახდენს დაწყებითი კლასის მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, სულ ასეთი ქალაქში არის 4588 ბავშვი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რათა გამარტივებული შესყიდვების გზით(როგორც ექსკლუზიური უფლებამოსილება) გავაფორმოთ ხელშეკრულება შემდეგ პოლიკლინიკებთან.

1 შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი- 3325 ლარი
მის: ქ.ქუთაისი ტ.ტაბიძის ქ. №23
საიდენტიფიკაციო ნომერი: 212913276
ანგარიშის № GE87TB7086236020100009
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ტელ/ ფაქსი (+995 331) 45694
დირექტორი: გიორგი მიმინოშვილი

ქ-ნ. ბ. ბულაშვილ

ქალაქის ნებისმიერი აუქციონის ბ.ბ.ა. ნებისმიერ სულიერ გადასახადებად სანქციონირებულია

01-636 06.02.2014

31 01 2014

№ 102
06 02 2014 წ.

2. შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა-2767 ლარი

ს/კ 212691336

GE84PC0013600100037406

PROCREDIT BANKI

მის: ჯავახიშვილის ქ. №85

ტელ: +995 431 258 274

დირექტორი: კახაბერ ჭონიშვილი

3.შ.პ.ს. ქ.ქუთაისის №4 შერეული პოლიკლონიკა-1809 ლარი

საიდენტიფიკაციო ნომერი 212670 796

Vi ti bi banki jorjia

ანგარიშის ნომერი Geo4Vto5000000001413602

მის: ქ.ქუთაისი ნიკეას ქ.№46/ბ

ტელ: 0431 22 15 89

დირექტორი: ბეჯან მამაგეიშვილი

4. .შ.პ.ს. „გგ" სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი-1199 ლარი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412684607

ბანკი რესპუბლიკა REPLGE22 a/a

ანგარიშის ნომერი: GE63BR0000010954992366

დირექტორი: გელა გოქაძე

პატივისცემით,
სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
თეიმურაზ ნადირაძე